

სს „გეოფრეშ“-ის ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენ.
	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	552852	273570	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	206646	23654	3.2
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები მ.შ. - გრძელვადიანი სესხები			
მარაგები	187290	131664	3.3
მ.შ. - მზა პროდუქცია	84080		
- სხვა	103210	131664	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8008	3410	
ბიოლოგიური აქტივები	40141	93659	
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	40141	93659	3.4
- გადაფასების მოდელით			
სხვა არამატერიალური აქტივები	2223	2223	
ძირითადი საშუალებები	634431	733652	3.4
სულ აქტივები	1631591	1261832	
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	22090	15840	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	37982	111664	
საგადასახადო ვალდებულებები	4240		
გამოუმუშავებელი შემოსავალი	26016	98	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3613294	3762600	3.5
სხვა ვალდებულებები	923	703	
სულ ვალდებულებები	3704545	3890905	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	32000	32000	
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-2104954	-2661073	
სულ საკუთარი კაპიტალი	-2072954	-2629073	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1631591	1261832	
სულ მოკლევადიანი აქტივები	954796	432298	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	91251	128305	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 06.02.2023 წ.

დირექტორი: _____ ნირ იაქოვ ბარეკეთ

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ამონაგები	1130984	1217898
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	1130984	1217898
- მომსახურების გაწევიდან		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა ამონაგები		
გაყიდვების თვითღირებულება	-811221	-975487
საერთო მოგება	319763	242411
სხვა საოპერაციო შემოსავალი	902490	762962
დასაქმებულთა ანაზღაურება	-322587	-328850
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-156330	-242268
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი	-58013	-56101
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-425731	-325889
სულ საოპერაციო ხარჯები	-60171	-190146
საოპერაციო მოგება	259592	52265
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა	104556	-183195
მ.შ. - ფინანსური აქტივების	104556	-183195
- მარაგების		
- სხვა არაფინანსური აქტივების		
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	115488	-297402
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	76483	-1155
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	556119	-429487
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	556119	-429487
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	556119	-429487
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-2629073	-2519718
კაპიტალის სხვა ცვლილებები		320132
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-2072954	-2629073

შენ.

3.6

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 06.02.2023 წ.

დირექტორი: _____ ნირ იაქოვ ბარეკეთ

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	384693	178264
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-50536	-93078
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-74242	83576
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	259915	168763
სავალუტო კურსის ეფექტი	19366	30905
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	273570	73902
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	552852	273570

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 06.02.2023 წ.

დირექტორი: _____ ნირ იაქოვ ბარექეთ

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. სს „გეოფრემ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405140137. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. აბაშიძის ქ., № 81 / დარიალის ქ., № 9, ბ. 12.

1.2. კომპანიის კაპიტალი დაყოფილია ჩვეულებრივი სახის აქციებად. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი, სულ ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა არის 32 000 ცალი, ღირებულებით 32 000 ლარი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

1681026400125, დან კლეინერმან, რუმინეთის მოქალაქე	6400 აქცია	20%
01391016189, ნირ იაქოვ ბარექეთ საქართველოს მოქალაქე	8000 აქცია	25%
0-2874284-6, ოფერ ეიზენბერგ, ისრაელის მოქალაქე	17600 აქცია	55%
სულ	32 000 აქცია	100.00%

1.3. კომპანიის დირექტორია ნირ იაქოვ ბარექეთ, (პ.ნ. 01391016189)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მოცვის და სატაცურის მოყვანა და რეალიზაცია. კომპანიას აქვს სატაცურის პლანტაცია საგარეჯოში და მოცვის პლანტაცია ზუგდიდის რაიონში, სოფელი რუხი.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით),

რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018-2019-2020-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 3.0976 ლარი;

1 EUR = 4.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში		
ფული საბანკო ანგარიშებზე	552852	273570
სულ:	552852	273570

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	370016	392585
საექვო მოთხოვნების რეზერვი	-287030	-391586
გადახდილი ავანსები	106060	5055
მოთხოვნები აქციონერების მიმართ	17600	17600
სულ:	206646	23654

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მასალები პლანტაციაში	103210	83263
მზა პროდუქცია	84080	
სხვა		48401
სულ:	187290	131664

3.4. ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივები:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარ ები	სატრანსპორტო საშუალებები	ბიოლოგიური აქტივები (პლანტაციები)	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება							
1 იანვარი 2021	136 105	373 248	289 936	177 354	498 911	213 665	1 689 218
შემენა		3 971		9 860		36 705	50 536
ჩამოწერა			(183 163)	(3 200)		(17 781)	(204 144)
31 დეკემბერი 2021	136 105	377 219	106 773	184 014	498 911	232 588	1 535 609
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი 2021		(57 344)	(184 840)	(102 072)	(405 252)	(112 399)	(861 907)
დარიცხვა		(13 942)	(21 233)	(35 724)	(53 517)	(31 913)	(156 330)
ჩამოწერა			137 187	2 293		17 719	157 199
31 დეკემბერი 2021	-	(71 286)	(68 886)	(135 502)	(458 770)	(126 594)	(861 038)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2021	136 105	315 904	105 096	75 282	93 659	101 265	827 311
31 დეკემბერი 2021	136 105	305 933	37 887	48 511	40 141	105 994	674 572

3.5. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სასესხო ვალდებულებები არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიმართ	3613294	3762600
სულ:	3613294	3762600

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
მოსავლის მიღების ხარჯები	238502.26	142882.03
რეკლამის ხარჯები	203.40	646.80
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები		52210.34
მზა პროდუქციის შენახვის ხარჯები		2100.00
მიწოდების ხარჯები	126210.28	75272.27
ელექტროენერგიის ხარჯები	8044.69	6915.13
გაზი და წყალი	1431.91	1046.95
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	747.50	740.00
საკანცელარიო ხარჯები	1568.93	977.47
კომუნიკაციის ხარჯები	1799.41	1523.97
დაზღვევის ხარჯები, გარდა პერსონალის დაზღვევაზე გადახდილისა	2888.62	2214.99
საკონსულტაციო ხარჯები	10669.52	12364.44
საგადასახადო ხარჯები	4966.00	9622.00
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	1630.69	2315.16
საბანკო ხარჯები კონვერტაციიდან	2546.60	1627.35
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	9309.06	433.35
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა ავტომანქანებისა)	1580.80	629.66
ავტომანქანების რემონტის ხარჯები	6900.70	4320.65
სატვირთო ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	2958.46	3063.37
წარმომადგენლობითი ხარჯები	524.70	0.00
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	3247.22	4982.58
სულ:	425731	325889

3.7. სასამართლო დავები

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.8. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2021 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენ.
	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	552852	273570	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	206646	23654	3.2
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები			
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები	187290	131664	3.3
მარაგები			
მ.შ. - მზა პროდუქცია	84080		
- სხვა	103210	131664	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8008	3410	
ბიოლოგიური აქტივები	40141	93659	
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	40141	93659	3.4
- გადაფასების მოდელით			
სხვა არამატერიალური აქტივები	2223	2223	
ძირითადი საშუალებები	634431	733652	3.4
სულ აქტივები	1631591	1261832	
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	22090	15840	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	37982	111664	
საგადასახადო ვალდებულებები	4240		
გამოუმუშავებელი შემოსავალი	26016	98	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3613294	3762600	3.5
სხვა ვალდებულებები	923	703	
სულ ვალდებულებები	3704545	3890905	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	32000	32000	
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-2104954	-2661073	
სულ საკუთარი კაპიტალი	-2072954	-2629073	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1631591	1261832	
სულ მოკლევადიანი აქტივები	954796	432298	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	91251	128305	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 06.02.2023 წ.

დირექტორი:



ნირ იაქოვ ბარექეთ

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის დათმობილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენ.
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	1130984	1217898	
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	1130984	1217898	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-811221	-975487	
საერთო მოგება	319763	242411	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	902490	762962	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-322587	-328850	
ცვთა/ამორტიზაციის ხარჯი	-156330	-242268	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-58013	-56101	
იჯარის ხარჯი	-425731	-325889	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-60171	-190146	3.6
სულ საოპერაციო ხარჯები			
საოპერაციო მოგება	259592	52265	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა	104556	-183195	
მ.შ. - ფინანსური აქტივების	104556	-183195	
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	115488	-297402	
მიღებული დივიდენდები	76483	-1155	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	556119	-429487	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	556119	-429487	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	556119	-429487	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-2629073	-2519718	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		320132	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-2072954	-2629073	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 06.02.2023 წ.

დირექტორი: _____



ნირ იაქოვ ბარექეთ

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	384693	178264
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-50536	-93078
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-74242	83576
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	259915	168763
სავალუტო კურსის ეფექტი	19366	30905
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	273570	73902
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	552852	273570

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 06.02.2023 წ.

დირექტორი: _____



ნირ იაქოვ ბარეკეთ

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის ჩომოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.